



საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 24

ი ვ ნ ი ს ი 11 1900

№ 24

გაზეთის ფასი: ერთი წლით გაუგზავ. 7 მან., გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზ. 3 მან. 50 კაპ., გაგზ. 4 მან. სამი თვით გაუგზ. 2 მან., გაგზ. 2 მან. 50 კაპ., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფლისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая, д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერის ქუჩა, № 5. ფოსტის აღრები: Тифлис. Редакция „Квали“.

შინაპასი: იოჰანე გუტენბერგი.—სხვა-და-სხვა ამბავი.—„კვალის“ კორესპონდენციები.—ჩინეთის ამბები.—„წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიური კრების ანგარიში გ —სა.—* ლექსი დ. თომაშვილისა.—მცირე შენიშვნა თ. ბ. ამირეჯიბისა.—წერილი საფრანგეთიდან (გაგრძელება) ლ დ —სა.—სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II დროს ა. ხანაშვილისა.—პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა (დასასრული) დ. თოფურიძისა.—„კვალის“ ფოსტა და განცხადებები.

იოჰანე გუტენბერგი

დღეს, 11 ივნისს, შესრულდა 500 წელიწადი მას შემდეგ, რაც ქ. მაინცში (გერმანიაში) დაიბადა შესანიშნავი პირი, იოჰანე გუტენბერგი. რა გააკეთა გუტენბერგმა—თითქმის ყველამ უწყის. მან პირველათ გამოიგონა სტამბა—ეს ერთი უძლიერესი და უდიდესი იარაღი კაცობრიობის წარმატებისა. გუტენბერგამდის კაცობრიობის ფიქრი და ნაღვაწი მხოლოდ ხელ-ნაწერით ვრცელდებოდა და შთამომავლობისთვის ინახებოდა. მაგრამ რადგანაც ხელით გადაწერა ძნელი და ნელია, ამისათვის გადაწერილი ყოველთვის ძვირი და მხოლოდ რჩეულთათვის ხელმისაწვდენი იყო. მწიგნობრობა შეიქნა მა-



იოჰანე გუტენბერგი.

ღალი წოდების ხვედრი. ხალხი კი სრულ უფიცობაში იმყოფებოდა. მასასადამე, სწავლა, აზროვნება, მოღვაწეობა არისტოკრატთა და მოკლილთა ხელობათ გადაიქცა. და აი, მოდის მაინცელი უბრალო, ღარიბი კაცის შვილი და მთელ ამ წყობას ძირიანათ აბრუნებს — ის ასხამს ასოებს, აკეთებს მანქანას, აწყობს ხელნაწერს, გააქვს მანქანაზე და რამდენსამე საათში ბეჭდავს რამოდენიმე ათას ცალს იმ ხელნაწერისას, რომლის ერთი ცალის გადასაწერათ რამდენიმე დღე იყო საჭირო. მწიგნობრობა გამოეცალა არისტოკრატისა და გადაეცა მთელ ერს, მთელ ხალხს. წიგნი გაიფადა, გახშირდა და მოედო ქვეყანას. ის ქობშიაც ისე

დაეცა მთელ ერს, მთელ ხალხს. წიგნი გაიფადა, გახშირდა და მოედო ქვეყანას. ის ქობშიაც ისე

შევიდა, როგორც სასახლეში, ღარიბმაც ისე წაიკითხა, როგორც მდიდარმა, დემოკრატმაც ისე შეიძინა, როგორც არისტოკრატმა. პრივილეგია მწიგნობრობისა მოისპო, პრივილეგია სწავლა-ცოდნისა გაუქმდა. აი ამიტომ სტამბა ერთი უდიდესი დემოკრატიული დაწესებულებაა და მისი მომგონი გუტენბერგი უდიდესი დემოკრატი...

პირველი წიგნი, რომელიც გუტენბერგმა დაბეჭდა, არის დაბადება. ეს იყო 1455 წ. მაგრამ დახეთ ბედის წერას! ამ წიგნის დაბეჭდვამ ის ერთიანათ გააღარიბა, ვალში ჩაიგდო და მთელი მისი ქონება—ეს ახლათ გამოგონილი სტამბა—საჯაროთ გაიყიდა! ის ხელში ჩაიგდომოვალემ და თვითონ დაიწყო ბეჭდვა. გუტენბერგი არ შეუშინდა გარემოებას და ნასესხი ფულით კიდევ გააკეთა მეორე მანქანა და შეუდგა მეორე დაბადების ხელმეორეთ. ბეჭდვას. ამასთანავე დაბეჭდა დავითნი და სხვა წვრილ-წვრილი ლოცვები. ეს მოღვაწეობა დაათესა მაინცის ბატონმა (არქიებისკოპოზმა) და 1465 წ. გუტენბერგს აზნაურობა უბოძა. მაგრამ ამას ის არ დაუხსნია სიღარიბისაგან. ის გარდაიცვალა 1466 წ. ისეთსავე სიღატაკეში, როგორშიაც სტამბის მოგონებამდის იყო.

ხმა სტამბის მოგონებისა სწრაფათ გავარდა მთელ გერმანიაში, მთელ ხმელეთზე. გუტენბერგმა მოიწადინა მანქანის კეთების საიდუმლოება დაეცვა, რისთვისაც თავის შეგირდებს პირობა ჩამოართვა არსად გამეჟღავნებინათ, მაგრამ ეს ასე ვერ მოხდა. შეგირდებს ის ხომ ვერ დაიჭერდა და მათი წყალობით მაინცში გუტენბერგის სიცოცხლეშივე სამ სტამბას ეხედავთ—ერთი თვითონ გამოგონის, მეორე მისი მოვალის ფუსტის და მესამე უცნობის, უთუთ გუტენბერგის ნაშეგირდალის. 1462 წ. მაინცი აიღო ნოსაუს მთავარმა ადოლფმა და მრავალ შენობასთან ერთათ ფუსტის შენობაც სტამბითურთ დაიწვა. მისი მესტამბები წავიდ-წამოვიდენ და გაავრცელეს თავისი ხელობა. მაინცის გარეთ, პირველათ კელნი დაარსდა სტამბა და 1466 წ. პირველი წიგნი დაბეჭდა, აქედან გავრცელდა ჩრდილო გერმანიაში, ნიდერლანდიაში და ინგლისში. როგორ სწრაფათ გავრცელდა სტამბის საქმე—ჩანს შემდეგიდან: მე-15 საუკუნის გასულს გერმანიაში იყო 49 სტამბა. უცხო სახელმწიფოთა შორის სტამბა პირველათ იტალიამ შემოიღო—1465 წ. (რომში), შემდეგ ისპანიაში—1474 წ., საფრანგეთში—1470 წ., ინგლისში—1477 წ. და სხ. სლავიანთა ქვეყნებშიც ჩქარა მიიღეს სტამბა, ჩეხიაში დაარსდა 1478 წ. (პრაგაში), პოლონიაში—1491 წ. (კრაკოვში); რუსეთში—1493 წ. (ჩერნიგოვში) აქ დაიბეჭდა პირველი წიგნი ილირულ ენაზე, რუსულ ენაზე კი პირველი წიგნი საზღვარ-გარეთ გა-


მოვიდა. ერთი სიტყვით, გერმანელთა შემოგონებით მეთუხმეტე საუკუნეშივე ევროპაში 910 სტამბა დაარსდა, სადაც 16299 სხვა-და-სხვა სათაურის წიგნი დაიბეჭდა, და თუ თითო წიგნს 300 ცალათ ვიანგარიშებთ, როგორც ეს მაშინ ჩვეულებათ იყო, მივიღებთ 5 მილიონ დაბეჭდილ წიგნს და ყველა ეს სტამბის მოგონების პირველ 45 წელიწადში!

ყველაზე გვიან სტამბა შემოვიდა საქართველოში და ეს არც შეიძლებოდა სხვა ნაირათ ყოფილიყო. მუდმივმა ომებმა და დავიდარაბამ ჩვენი ქვეყანა მოაშორა დასავლეთის კულტურულ მოძრაობას და ვიწრო საზღვრებში მოაქცია. ქართველ კაცს სტამბისათვის არ ცალოდდა და მასზე ზრუნვა ისევ უცხოელებმა იკისრეს. პირველი ქართული სტამბა დაარსეს კათოლიკეთა პატრებმა რომში—1625 წ. და გამოსცეს ქართული ანბანი. შემდეგ იმავე უცხოელებმა სტამბა გადმოიტანეს თფილისშიც და 1709 წ. გამოსცეს ქართული წიგნები. ამათ შორის „საქმე მოციქულთა“, „ლაუჯდომელი“, „ლოცვანი“, ხოლო 1710 წ. „ჟამნი“, „კონდაკი“, სახარება და სხ. „საქმეს მოციქულთა“ ბოლოში ჩართულია შენიშვნა, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ მეფეს „მოუღია“ სტამბა ვოლახეთით. 1) სამღთო წიგნებს გარდა დაიბეჭდა აგრეთვე საერო წიგნებიც მაგ. 1712 წ. „ვეფხის ტყაოსანი“, რის წინააღმდეგი შეიქნენ სასულიერო პირნი, ისე რომ ვახტანგ მეფე იძულებული გახდა „ვეფხის ტყაოსანის“ ახსნა დაეწერა და ზოგი აზრები რუსთველისა შეემსებუქებია. საზოგადოთ, სტამბის საქმეს მფარველობდენ მეფენი და როცა მეფობა გაუქმდა მასთან ერთათ გაუქმდა ქართული სტამბაც (1801 წ.) და მხოლოთ 1805 წ. ხელახლა ამუშავდა, მარა დიდი არაფერი დაბეჭდილა. აქ ისტამბებოდა მარტო საქართველოს მთავარმართებელთა ბრძანებები, განცხადებები და სხ. ქართულათ. ამ ოჯიციალურ სტამბას 1829 წ. მიემატა მეორე სტამბა, რომელიც გახსნა სოლომონ დოდაშვილმა. შემდეგ სტამბები თანდათან გავრცელდა და ახლა არა თუ თფილისში, არამედ პროვინციაში და დაბებშიაც კი გაიხსნა. ამ ჟამათ თფილისში 18 სხვა-და-სხვა სტამბაა და შიგ მუშაობს 400 ასოთ-ამწყობი და მბეჭდავი.

1) აი ეს შენიშვნა: „ოდეს განავებდა საქართველოს ძმისწული კეთილმორწმუნე მეფის არჩილის და სახელგანის მეფის გიორგისა და ბატონის ლევანისა ღვთის მოყვარე, განათლებული ვახტანგი, გულმოდგინა და მოიღო სტამბა ვოლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში. ხელით წერაში ჩვენი სამღთონა წერილნი გარყვნილიყო“ და სხ. იხ. „ისტორია ქართული სტამბისა და წიგნების ბეჭდვისა“, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ.

აი ამ დიადი კულტურული მოძრაობის დამწყები იყო ის პირი, რომლის 500 წლის დაბადებას დღესასწაულობს დღეს ქ. მაინცი, გერმანია და მათთან ერთათ მთელი კაცობრიობა. დღევანდელი დღე არის დღე სტამბის დღესასწაულისა, რაც იმართება ევროპის თითქმის ყველა ქალაქებში, მაგრამ მთავარი დღესასწაული კი—გუტენბერგის სამშობლო ქალაქ მაინცი იქნება. დღესასწაულს დავსწრება სხვა და-სხვა ქვეყნის წარმომადგენლები და მრავალი უცხო სტუმარი. ამ უკანასკნელთა შორის საყურადღებოა თვით გუტენბერგის შთამომავლობა (არა პირდაპირი), ორი ძმა, გვართ მოლსბერგნი. ერთია არტილერიის გენერალი, ხოლო მეორე მეურნე. არც ერთ ამათგანს შეილი არა ჰყავს და მათი სიკვდილით ქრება გუტენბერგის შთამომავლობაც.

გუტენბერგს გერმანიის სამ ქალაქში აქვს ძეგლი: მაინცი (დადგმული 1837 წ.), სტრასბურგში (1840 წ.) და ფრანკფურტში—მაინზე (1858 წ.)



სხვა-და-სხვა ამბები

ეს კარგა ხანია ავით იმყოფება თ. ი. ჭავჭავაძე და, თუმცა, ექიმების სიტყვით, საშიში არა აქვს-რა, მაგრამ მაინც საზღვარ-გარეთ ურჩევიათ წასვლა და იქ მორჩინა. როგორც გავიგეთ, ამ ახლო ხანში კიდევაც აპირებს გამგზავრებას გერმანიაში. ვუსურვებთ სრულიად გაჯანსაღებული ადრე დაბრუნებულიყოს სამშობლოში.

„ივერიის“ მე-118 ნომერში დასტამბულია ბ. ი. გოგებაშვილის წერილი სახელწოდებით, „კასა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის“. ავტორი ამბობს, რომ საჭიროა დაარსდეს მათთვის კასა, საიდანაც უნდა ეძლეოდეს ჯილდო საუკეთესო მასწავლებელთა. ამ მიზნისთვის თავისი მხრით ავტორი სწირავს 150 მ. წელიწადში და თხოულობს აქედან პირველი პრემია მიეცეს გურიის სამაგალითო მასწავლებელს, მეორე რაჭა-იმერეთისას, მესამე სამეგრელოსას, მეოთხე ქართლისას და მეხუთე კახეთისას. ამ საქმის მეთაური და აგრეთვე პრემიის დამრიგებელი უნდა იყოს წ. კ. საზოგადოებაო. ეს ფრიად საყურადღებო განზრახვაა და იმედია ყურადღებას მიაქცივენ თვით მასწავლებლები. კარგი იქნება გვემის შესამუშავებლათ ბ. გოგებაშვილი მოიწვევდეს მცოდნე და დაინტერესებულ პირების კრებას და ერთ რაიმე გზას დაადგებოდნენ.

პეტერბურგიდან დებეშით იუწყებიან, რომ უეცრივ გარდაიცვალა გარეშე საქმეთა მინისტრი მურავიოვი. გარდაცვლილა აგრეთვე კიევის მიტროპოლიტი იონიკი.

ჩვენ მივიღეთ კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგის მოწოდება მეაბრეშუმეთა მიმართ, რომელთაც ურჩევს ჩაეწერონ „ამხანაგობაში“ წევრათ, რადგანაც წევრ-მეაბრეშუმეთ ამით უპირატესობა ეძლევათ პარკის გაყიდვაში; მაგ. წინდაწინ მიიღებენ ისინი ფუთზე 10 მ. ხოლო პარკის გაყიდვის შემდეგ მაზანდის კვალობაზე ფასი შეუსრულებათ. შარშან წევრთ-მეაბრეშუმეთ ფუთზე მიუღიათ თუმანი, შემდეგ კიდევ 6 მან. სულ—16 მ., ხოლო წინდაწინ რომ გაეყიდათ—ამდენს ვერ აიღებდნენ. ეს ჩვენ გვგონია საუკეთესო სისტემაა ყიდვა-გაყიდვისათვის და სასარგებლო როგორც მეპარკესი ისე ამხანაგობისათვის. კარგი იქნება ამას გურიის ამხანაგობაც მიბაძავდეს.

აგერ ერთი თვე იქნება, რაც ჩვენ 500-ზე მეტ თფილისელ ქართველისაგან ხელმოწერილი ქალღი მივიღეთ და გვთხოვდნენ დაგვებეჭდა. ეს ქალღი შეეხება ბ. ახალმოსულის პოლემიკას, მაგრამ რადგანაც ახალმოსული კაი ხანია „ივერიიდან“ გაქრა, არც ეს ქალღი გამოგვიქვეყნებია. ვისაც ის აინტერესებს, შეუძლია რედაქციაში მობრძანდეს და ნახოს.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცებულია. რკინის გზა დაიწყება ზემო ავჭალიდან და მივა ს. საქობომდე, სულ 170 ვერსის მანძილზე, მთელი ეს გზა დამთავრდება სამ წელიწადში. ამ საქმისთვის გამოიცემა 1.400,000 მ. აქციები (უგარანტიო მთავრობის მხრით) და 9.600,000 მ. ობლიგაციები.

„კეალის“ კორესპონდენციები

ქ. ფოთი. შემიძლია ვთქვას, რომ ახალგაზდა ქალებს და ვაჟებს ნათლათ შეუეცნიათ თავ-თავისი მოვალეობა საზოგადოების წინაშე და პირნათლათაგ შედგომიან ამ ეკლიანი გზის გაკაფვას. რამელი საქველ-მოქმედო საქმეები გსურთ ჩამოგიოთავდეთ რომ იმით არ მიეღოთ მონაწილეობა! ავიდეთ თუნდ წარმოდგენები. თუ აქამდის ქალს სასიარტხვილოთ მაინც სტენაზე გამოსვლა, დღეს ეს ფიქრათაგ ადარავის მოდის და სიამოვნებით გამოდის სტენაზე. დღეს სულეულა დაწმუ-

ნებუღია, რომ აქ სასირცხვილო არაფერია, და, ზირიქით, ზატვიისცემის ღირსია ასეთი ადამიანები. რცა აქ თვატ-რის საქმე ბევრათ თუ ცოტათ გამჩინდა, ადგილობრივმა ხალგაზღებმა შეერთებული ძალით მოწადინეს ქართული კონცერტის გამართვაც. და, აი 21 მაისს, ადგილობრივ სამრეკლო სკოლის დარბ მთავრების სასარგებლოთ ქ. ანასტასია ივ. კოტეცაშვილის შეთაერთობით და ბ-ნ აქვს. მეგრელიძის ლოტბრობით კლუბის დარბაზში გამართა წარმოდგენა და ქართული კონცერტი. განსაკუთრებით საზოგადოების ყურადღება მიიზერო ზირველათ გამართულმა კონცერტმა, რომელშიაც იღებდენ მინაწილეობას 15 მეტი ქალები და ვაჟები. თავის სასახლოთ ისე შეგნიერათ იმდერეს, რომ ბევრჯელ საზოგადოებამ გაამეორებინა. ტაშის ცემით და ვაშს ძახილით დაჯილდოებას ხომ საზღვარი აღარ ქქონდა. ბ-ნ. მეგრელიძეს სახუქრათ მართავეს ვერცხლის სათუთუნე.

ეს ზირველი მაგალითი განლავთ, რომ აქ ქალები და ვაჟები ერთათ შეერთებულიყვენ და ქართული კონცერტი მოგვესმინოს.

მართალია ჩვენი ხალთაობა ქალები და ვაჟები ასე ერთხმათ და სიყვარულით შედგომიან საქველ-მოქმედო საქმეებს, მაგრამ მარტო ისინი ამას ვერ შეძლებდე გვერდით რომ არ ამოდგომოდათ ცნობილი და ზატვიისცემული ქველ-მოქმედი ზარასკევა ქავთარაძისა, რომელიც მუდამ მზათ არის ხელი მოუწყოს ყოველსავე სიმზატორ და კეთილ საქმეების დაწვებ-დაგვირგვინებს. აგრეთვე ზატვიისცემით ვისხენიებთ ქ-ნნ ან. მიქაბერიძისსა, რომელიც მართლაც დიდათ შრომობს, და ყოველ წლივ შემწეობას აძლევეს წმ. ოლღას საქალებო სასწავლებელს, სადაც ის ითვლება თავმჯდომარეთ უმწეო ქაღთა მისწავლებების დამხმარებელ კომიტეტისა. ეს ფრიად ზატვისსანი და დაუდალავი მანდილთსანი ზშირათ მართავს სხვა და სხვა სადამოებს, მანობით ბაღში საზოგადო სეარნობას ბაზრითურთ, ზამთარში შობის ხეებს და ასე ამიარათ ხელს უწყობს და წინ უძღვება სასწავლებლებს. ამთ გვერდით უდგიათ ქქ-ნნი. კაბუნიასი და გოკიბერიძისა და მხეთ და სულოთ და გულოთ უწყობენ ხელს საქველ-მოქმედო საქმეებს და არასოდეს არ დაზარებიათ ამ სიმზატორი საქმისათვის შრომა და შემწეობა. თუმცა ასე მაცადინობს და შრომობს ხალთაობა, მაგრამ, სამწუხაროთ, მას დავიწყებია ერთი საჭირო ვაღდებულობა; ეს სულ არ უყურებს დაბალ ხალხის ბედ-შაობას. ცხადათ ხედავენ საყავე-რესტორანებში რა რიგათ იკარგებიან და სიცოცხლესაც იშხამავენ ღვინით, რომლის შემდეგ ბევრ სამარცხვინო საქმეებს ჩადიან. იმისი მოწამე ხომ ბევრია, თუ ზირველ მაისიდან დაწვებული ცხრა მაისამდე რა რივ გამუდმებით ქეიფი იყე ზარკში. საზოგადოთ ხალხი ან მუშაობს და ან ქეიფობს, სხვა მოთხვინილება მისთვის არ არის, ნუ თუ

ამის შველა შეუძლებელია? ყველა ქალაქებში მცედანგებობენ, ხალხი რომ დაიხსნას ამიარო ყოფიდან და კულტურულიათ ცოტა მდლას ასწიონ. ამისათვის იმართება სახალხო წარმოდგენები, საკვიარო სკოლები, კითხვები, ბუნდოვანი სურათები და ათასი სხვა. ფოთში კი ჟერჯერობით არც ერთი ეს არ არის. ხოლო მუშა ხალხი კი ბევრია. ნუ თუ ეს ისეთი ძნელი და რთული საგანია, რომ არ შეიძლება მისი განხორციელება? საკვიარო სკოლის და სახალხო წარმოდგენის გამართვა ძნელი არ არის, მხოლოთ საჭიროა აქაც ერთობა და შეცადინებობა. დრო არის, ბატონებო, რომ ევ თქვენი სწავლა უსწავლელთაც გადასცეთ, ხალხიც არ დაივაწყოთ. განხსენეთ ქრისტიკ სიტუებები: კარგათ მეფეს კი არ უნდა ექიმი, არამედ ავათმეფოსო. იმედია ამ საქმეს ფოთის ხალგაზრდობა ენერგიულიათ და მუყათათ მოჰკვიდეებს ხელს.

თ. გ—ძე


ს. რუასპარი. (თელავის მაცრა). სწორეთ საქმე კაჭკირვა გამუდმებულმა წვიმებმა. შავთ ჩამოქუშულმა ცამ აღარ გადაიყარა დრუბლები. სულ წვიმა, წვიმა და ზედ ნიაფდურები, რამაც შესამჩნევათ დახრამა და წახანინა გზები. ზღვასავით მდელვარე ახლათ თავთავ-ამოდებულ ეანებს კარგი ამინდი ესაჭიროება და თუ კიდევ ასე იქნა ავდრობა, ცუდი საქმე დაგვემართება. უამინდობით ეანები ზურს ვერ აიღებს, ახალავდება. არც ვენასებს დაყარა კაი დღე ამ უამინდობამ, დღევანდლამდის უწამლოთ არის დატოვებული ვენახები, და ფოთლებს სიყვითლე შეეპარა. ამ ცუდი ამინდების გამო აქამდის საანეულო გუთახიც არ გაგვიტანია. აი, ბედმა გაგვიღიმა, ეს სამი თხი დღეა შეგნიერი ამინდები დგას; თითქმის დღევანდლამდის კარ ჩაკეტილმა მომცდარმა ხალხმა გამოადო კარი, საერთოთ ყველა მოედვენ საქმეს, ზოგი ვენახს წამლავს, ზოგი თოხნის, გუთნიდელამაც აჩიხს თავისი მამაზურა გუთანი, გაბა რავუდელი ხარი და კამეჩი, ტკბილი და ჩათხრობილი ორგველათი გაუგლო სახნის-საყვითი დედა-მიწის მკერდს... შეგნიერი ჭინახულებია, მხოლოთ ამინდებია საჭირო. თუ დღეის შემდეგ კაი ამინდები დადგა, ზური და ღვინო საკმაოთ მავა.

გლენი. ზ. სენიაშვილი.

ჩინეთის ამბები*)

შვეყანას ერთი დიდი ამბავი არასოდეს არ გამოელოვა. აქამდის ყველა ბურგბის შესახებ ლაპარაკობდა, ახლა კი ისინი სცენიდან გადიან და

*) ცნობები ამოკრფილია ლონდონის „Times“-იდან და „ფრანკფურტის გაზეთიდან“.



რომ ადგილი ცალიერი არ დარჩენილიყო, სცენის მეორე კარებიდან ჩინელები შემოდნან. ახლა ჩინელებზე ლაპარაკობს ყველა, ამათი ამბავი გადმოაქვს ტელეგრაფის მართულებს, ავსებს გაზეთების ფურცლებს, იტაცებს მკითხველებს, აფიქრებს პოლიტიკის კაცებს, ამოქმედებს დიპლომატებს — ერთი სიტყვით ლამის „ცათა სამეფოს“ მოქალაქე ქვეყნის მოქალაქეთ გადააქციეს. რა ამბებია ეს?

ჩინეთი, როგორც იცით, ერთი უძველესი და უდიდესი სამეფოა. ის თავიდანვე განცალკევებული იყო დანარჩენი ქვეყნიდან, არც სხვისი რამე უნდოდა და არც თავისას სხვას ანებებდა. მან შემოივლო დიდი კედელი და დანარჩენ კაცობრიობას გამოუტახა: შენ შენთვის და მე ჩემთვისო. ასე ატარა მან თავისი ცხოვრება ათასი წლოვით, მაგრამ ეს 10—15 წელია „ფატერაკი“ დაემართა და ევროპის წინ ჩაიჩოქა. ევროპელებმა სრულიად წყნარათ და უომოთ გააღებიეს კარები, შევიდნენ კედლებ შორის და თან შეიტანეს ევროპიული წესები. რასაკვირველია, ამ დაუბატებელი სტუმრების ჩამოხიზნება არაფრათ ესამოვნებოდათ ძველის მოყვარულ ჩინელთ და უნდა გამოეწვია ამათი წინააღმდეგობა. მარა საბედნიეროთ, ჩინეთი ისე დიდია, რომ ზოგ პროვინციაში მეფეთა გამოცვლასაც რამდენსამე წელს შემდეგ გაიგებენ, თვრა ვილაც ევროპიელი სადღაც ჩამოსულაო, აბა ასეთი წვრილი ამბები საიდან მიღწევდა იმათ ყურამდის. და ასე, ჩინელები ძველებურათვე ჩინელობდნენ თავ-თავისთვის და ევროპიელთა „მოსევას“ ყურადღების ღირსათაც არ თვლიდნენ. მაგრამ, მადა ქამაში მოდისო, იტყვიან, და ევროპიელთაც ასე დაემართათ. აქაო და ჩინელები არაფერს გვეუბნებიანო, მოდით ისინი გარეთ გადმოვაგდოთ და ჩვენ „ვიხაზენოთო“. ითქვა — ასრულდა. გერმანიამ დაიჭირა კიაოჩაუ, საფრანგეთმა პონკონგი, რუსეთმა პორტ-არტური და ინგლისმა ვეიპაივი. იტალიამაც ფეხი გამოჰყო, მეც ნახირნახირო, მარა უკანვე წაიღო. და ასე, ეს ოთხი დიდი სახელმწიფო შემოადგნენ დედა-ქალაქს პეკინს და მის ზღვებში საბუღარი გაიკეთეს. ესეც კი უნდა ითქვას, რომ ესენი უფრო ერთმანეთის ჯიბრით „შეესიგნ“ ჩინეთს. ამათი წესი ასეა, სადაც კი ერთი წავა, სამივე უკან მისდევს, არ მოგვასწროსო და, თუ მაინც მოასწრო რისამე შოვნა, იმდენს ეცდებიან, რომ იმის გვერდით თითონაც რაღაცას იშოვნებინ და ერთმანეთს წინ გამოეკიმიბიან: ჩვენც აქა ვართო. აქაოდა გერმანიამ ჩინეთს კიაოჩაუ წაართვაო, მოდით ერთი ჩვენც რამე წავართვათო და ის იყო წაართვეს. ასეა თუ ისე, შუაში კი ჩინელები გამოჰყლიტეს და აი ამათაც

ახლა თვალი გაახილეს. შედგა ნაციონალური პარტია, რომელმაც თავის დროშაზე დააწერა: ჩინეთი ჩინელებისთვისო, ე. ი. არც ევროპა, არც ევროპელები და არც მათი რეფორმებიო. ეს არის ძველი ჩინეთის დასი და მის მეთაურათ შეიქნა ენერგიული და გაბედული ქვრივი დედოფალი, (ჩუცი, რომელმაც გასულ წელს ერთი დაკვრით გადააყენა რეფორმის მომხრე ახალგაზდა მეფე და თავისი თავი მეფეთ გამოაცხადა. ეს იყო ნაციონალური პარტიის პირველი გამარჯვება და იმავე დროს ეს სასახლის რეფორმაცია შეიქნა მაჩვენებლათ ხალხის რევოლიუციისა. ცუცომ გარს შემოიკრიბა კონსერვატორები, რეაქციონერები და ესენიც შეუდგნენ, მუშაობას. მანდარინებმა (არისტოკრატია) ხალხს დაუწყეს ქადაგება: თქვენი სიღარიბის და დაცემის მიზეზი ჩვენ კი არა ვართ, არამედ ევროპიელიო. იმათმა რკინის გზებმა, საყდრებმა და გემებმა გააღატაკა ჩინეთის ხალხი! მთავრობის აგენტებმა ეს აზრი დათესეს ყოველგან და აი ამან ნაყოფი გამოიღო, მაღლიდან დაწყებულმა რევოლიუციამ დაბადა რევოლიუცია ქვევით — ხალხში. ეს სამი კვირაა ერთი პარტია, რომელიც „დიდი მუშტის“ სახელს ატარებს, დაიძრა და, რაც კი რამე ევროპიული ხედება, ყოველივეს ანგრევეს და ანადგურებს. ამან დაქცია რკინის გზები, სადგურები, დასჭრა ტელეგრაფის მართულები, დახოცა ევროპიელები, დაწვა საყდრები — ერთი სიტყვით არავითარ ევროპიულს აღარ ინდობს. და ყველა ეს ხდება პეკინის ახლო-მახლო და თვით პეკინში.

ვინ არიან ეს „დიდი მუშტის“ ლაშქარნი? ეს არის ერთი იმ მრავალ საიდუმლო საზოგადოებათაგანი, რომლითაც სასცა კურთხეული ჩინეთი. მისი ლეგალური სახელია „საგიმნასტიკო საზოგადოება“, ხოლო ამ ვარჯიშობის დროს, როგორც აქ ჩვეულებაა, ფარულათ პოლიტიკასაც ეწეოდნენ. ისინი იყვენ უფრო მანდარინების წინააღმდეგი და ამიტომ დაერქვათ „თანასწორთა საზოგადოება“, ეს არის მისი არა-ლეგალური სახელწოდება. მაგრამ ევროპიელთა „შემოსევას“ შემდეგ იმან ფერი იცვალა, მის მეთაურათ შეიქნა უკანასკნელი (გადაცვალბულის) მეფის შვილი პრინც ესტუანი, უკიდურესი კონსერვატორი და დღევანდელი ბრძანებელის ცუცის მარჯვენა ხელი. ამიტომ დედოფალმა ტახტზე ასვლისთანავე ესტუანი ტახტის მემკვიდრეთ გამოაცხადა. ასე რომ, დღევანდელი ტახტის მემკვიდრე არის ამ საზოგადოების მეთაური. საზოგადოებას დაერქვა; „ლიგა შეეროებული პატრიოტებისა“. ამ „პატრიოტთა“ რიცხვია 11 მილიონამდის.


ამ წლის იანვარში დედოფალმა ასეთი ბიანება გასცა გუბერნატორთა მიმართ: „დახმარება და პატივი აღმოუჩინეთ იმ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომელნიც გამხასტიკას ეწვეიან თავისი ოჯახების დასაფარავათო“. ეს გიმნასტიკის ხალხი გახლდათ დღევანდელი „დიდი მუშტი“ ანუ „პატრიოტთა ლიგა“. ცხადია, მთავრობა ამათი მომხრეა და ისინი მთავრობის. მაშასადამე, „დიდი მუშტის“ მოძრაობა არის მოძრაობა ნაციონალური, წინააღმდეგ ევროპელებისა. მათი მიზანია ძველი წყობის შერჩენა და ახლის უარის ყოფა. მარა რადგანაც დედოფალი, მთავრობა და ჯარი იმათი მომხრეა — ამიტომ უეტველია ეს მოძრაობა ასე უცებ არ შეწყდება და დიდ სახელმწიფოთა ერთ თავსამტერვე საქმეს კიდევ გაუჩენს. ნაფთსადგურ ტაკუში (პეკინის ახლო) მივიდენ ხომალდები ოთხივე სახელმწიფოსი იაპონითურთ, გადასხეს ჯარები ხმელეთზე და გაგზავნეს პეკინში ევროპეელთა დასაცველათ. მოსალოდნელია, რომ ეს ჯარი და „დიდი მუშტი“ ერთმანეთს შეეტაკებიან და თუ ჩინეთის ჯარებიც „დიდი მუშტს“ მიემხრო — ომი ატყდება. უეტველია, ოთხი სახელმწიფო ერთს მოერევა, მარა მორევის შემდეგ შეიძლება მათ შორის ჩამოვარდეს განხეთქილება და ამას კიდევ მეორე დიდი ამბავი მოჰყვეს. აი ამიტომ, ეს ჩინეთის, „პატრიოტთა“ მოძრაობა ასე საყურადღებო და ღირს შესანიშნავია ამ ჟამათ. ვინ იცის იმათი ნაშეფი ევროპასაც გადმოწვდეს და სულ ერთიანათ აგვრიოს...

აი უკანასკნელი ამბები ჩინეთიდან:

5 ივნისის ტელეგრამმა ამბობს: შანჰაი. ტელეგრაფი პეკინისა და ტიან-ძინს შუა შეწყვეტილია. აქაურს ელჩებს თათბირი ჰქონდათ, რა ღონისძიებანი ვიხმაროთ უცხო ქვეყნელებით დასახლებულ ადგილების დასაცველათო. — ბერლინი. გერმანიის ჩიფუელ ელჩისაგან შემდეგი დეპეშა მიღებული: „პეკინის მისიები დაჭერილია“. ჰონკანგი. ჩინეთის მუდმივი ჯარი ხელს უშლის ევროპის ჯარის მოძრაობას. იძულებულ იქმნებიან ტაკუს ციხე-სიმაგრეს ზარბაზნები დაუშინონ. — პეკინი. დ.მე უწყსობანი მოხდა უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ. ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის ულამაზესი სახლები დამწვარია. ასობით ქრისტიანენა, რომელნიც უცხო ქვეყნელებს ემსახურებოდნენ, გაჟლიტეს; უცხო-ქვეყნელებს ელჩები იცავენ. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ევროპეელთაგანი არავინ დაზარალებულაო. — ბერლინი. ჩიფუდან გერმანიის ელჩისაგან მოსული დეპეშა იუწყება: რუსეთის გემზე შეკრებილმა უცხო ქვეყნის გემების უფროსებმა მიჰმართეს ტაკუს ციხე-სიმაგრის უფროსს და პირობა დაუდეს, რომ ჩინეთის ჯარი ნაშუადღევს 2 საათამდე გაყვანილ იქნასო. 4 ივნისს, ნაშუაღამევს 1 საათზე, ციხე-სიმაგრეებიდან სროლა დაიწყო; სროლითვე გასცეს პასუხი გერმანიისა, რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იაპონიის გემებიდან; ბრძოლამ შვიდ საათს გასტანა. ამბობენ, რომ ინგლისის ორი გემი ტაკუს მდინარეში დაირჩოვა. ციხე სი-

მაგრეთა შორის აღარც ტელეგრაფი ჰმუშაობს და აღარც რკინის გზა. 6 ივნისის დეპეშა იუწყება: ჩიფუ. უცხო-ქვეყნის სახედრო ხომალდებიდან საერთო თავ-დასხმით დაპყრობილ იქმნა ტაკუს ციხე-სიმაგრე. იერიშის მიტანის დროს გერმანიისა სამი კაცი მოჰკლეს და შვიდი დაჭრეს. ჩინელები ზარბაზნებს ესრვიან უცხო ქვეყნელებით დასახლებულ ადგილებს. — პეტერბურგი. 7 ივნისის დეპეშა იუწყება: „პრავიტელსტენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია: 4 ივნისს შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ტაკუს სიმაგრეები დაუტერიათ; მონაწილეობას იღებდენ სამხედრო გემები „კორეცა“, „გილიაკი“, „ბობრი“, საფრანგეთის გემი „ლიონი“, ინგლისისა „ალგერინა“ და გერმანიისა „ილტისა“, რომელთაც კაპიტანი დობროვოლსკი უფროსობდა. ჩვენ დაგვაკლდა: ლეიტენანტი ბუსაკოვი, რომელიც მოკლულია, სასიკვდილოთ დაჭრილია გენერალი დედენევი, მძიმეთ დაჭრილია ტიტოვი და სუბუქათ ბოგდანოვი; ჯარის-კაცებიდან მოკლულია 16 და დაჭრილია 67; ეს ზარალი „გილიაკსა“ და „კორეცს“ მოუვიდა. „გილიაკი“ ძალიან არის დაზიანებული, „კორეცია“ ექვს ადგილას არის ძირიდან ვახვრეტილი. — ლონდონი. ტაკუსთან ბრძოლაში მოკლეს 700 ჩინელი და ტყვეთ წაიყვანეს 100. რუსებმა და გერმანელებმა ხელთ ჩაიგდეს ჩინეთის გემი „ხალიანგია“.

დეპეშებია აგრეთვე ევროპეელთა თავდასხმისა, დაძარცვია და იმათი სახლების და მისიების დაქვევის შესახებ. პეკინიდან არა ისმის-რა. უეტველია ტელეგრაფის მართულები დაჭრილია.



„წერა-კითხვის სამოგადოების“ წლიური კრება.

ამ თვის 4-ს მოხდა წ.კ.-საზოგ. წევრთა წლიური კრება ბ. ნ. ზ. ცხვედაძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრენ გამგეობის ყველა წევრი, გარდა თ. ი. ჭავჭავაძის და კ. აბაშიძისა და 40-მდე საზოგადოების წევრი. პირველათ მდივანმა წაიკითხა გასული წლების კრების პრატაკოლი, რომელიც შემდეგ შესწორებისა დამტკიცდა.

შემდეგ წაკითხულ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება, საცა რევიზორები უსაყვედურებენ გამგეობას, რომ თუმცა არა ერთხელ შეუნიშნავთ გამგეობისთვის იყოლიონ საკუთარი რევიზორი სკოლებისათვის, მაგრამ დღემდის არ მოუყვანიათ სისრულეშიო. ამის პასუხათ ბ. თავმჯდომარემ თქვა: საზოგადოების საქმეები ისე კარგათ მიდის, და იმ გვარ ნიშნებს ვხედავ, რომ ჩემი აზრით შესაძლო იქნება ჩვენი სკოლებისთვის ცალკე რევიზორი ვიყოლიოთ. მე ვთხოვ საზოგადოებას ნება მოგვცეს ასეთი კაცის ყოლისა და თუ რამდენათ მოხერხებული ან საქიროა რევიზორის ყოლა — ამას გამგეობა თითონ მოისაზრებსო; ამაზე მსჯელობა აქ მეტიაო. ი. გოგებაშვილს სურს კრებამ გამოთ-

ქვას თავისი აზრი ამ კითხვის შესახებ; რაც შეეხება თითონ მას, ის წინააღმდეგია ცალკე რევიზორის დაქირავებისა, რადგანაც ეს ორას თუმნამდე დაუჯდება საზოგადოებასო. ისევ ჯობს მდივანს მოეკლოს საკანცელარიო საქმეები, მოემატოს ჯამაგირი და მუღმივი რევიზიორობაც მას მიენდოს, ხოლო წლის გასულს მას გამგეობის ერთ-ერთი წევრი გაჰყვებაო. ცხვედაძე ამბობს, ეს ისევ ჩვენ მოგვენდოსო; თავმჯდომარეს ბ. თაყაიშვილი უჭერს მხარს: ამაზე ლაპარაკი კმარაო; ამნაირათ დავა ტყდება გამგეობის წევრთა შორის. თავმჯდომარე იმარჯვებს და კითხვა გაურჩეველი რჩება. შემდეგ საქმე თვით სკოლების მდგომარეობაზე მიდგა.—თუ ვინმეს რამე გაქვთ სათქმელი სკოლების შესახებ, განაცხადა თავმჯდომარემ, ბრძანეთო, და ეს „ბრძანეთ“ ისე უგულოთ და ჩუმათ თქვა ბ. ცხვედაძემ, რომ თათქო გვაფრთხილებს—თუ არაფერს იტყვით კიდე უკეთესიაო; მაგრამ ამანაც არ გაჭრა! წამოდგა ნ. ჟორდანიას და მოითხოვა წაეკითხათ გასამართლებელი საბუთები სენაკის სკოლის რევიზორის შენიშვნისა, რომელიც „ანგარიშია“ აღბეჭდილიო. უეჭველია რევიზორთა მოხსენება იქნება გამგეობაში ამის შესახებო. თავმჯდომარე უარზეა, ეს შინაური, საჯახო საქმეაო. ეს, როგორც მოგვხსენებათ, შარშანდელი ტაქტიკაა. ი. გომელაური მხარს უჭერს ჟორდანიას: გთხოვთ წაიკითხოთ მოხსენება, რადგან აქ (უჩვენებს ანგარიშზე) საზიზლარი ცილის წამებაა. ვერც ერთი ადამიანი ვერ მოითმენდა იმ უწყისებას მასწავლებელთაგან, ნათქვამია ანგარიშში, რაც ბ. ყიფიანს მოუთმენიაო. მე მსურს გავიგო, თუ რა უწყისება მოითმინა მაგალითათ, ჩემგან? გ. იოსელიანი უბასუხებს—თქვენს გარდა სხვებიც იყვენ მასწავლებლები, თქვენ იქნება სულ არ ჰყავდეთ სახეში რევიზორსაო.—რომ ეს ასე იყოს, მაშინ ნათქვამი იქნება, ზოგიერთ მასწავლებელთაგანო, ასეთია ქართული ენის კანონიო, უსწორებს გომელაური, კამათი გამწვავდა; საზოგადოება დაინტერესდა; კრებაში ჩოჩქოლი შეიქნა. „ანგარიში“ გალანძლილია მასწავლებლები და საბუთიც უნდა წარმოადგინოთო, ისმოდა აქეთ-იქიდან. მარა თავმჯდომარემ ისევ თავის უფლებას მიმართა და გადაჭრით განაცხადა: მოხსენების წაკითხვა შეუძლებელია, ეს საოჯახო საქმეაო და ერთბაშათ ყველას ჩალა გამოავლო პირში. თუ მაინცა და მაინც ბ. გომელაურს სურს მოხსენების წაკითხვა, დასძინა თავმჯდომარემ, მობრძანდეს ჩემთან კაბინეტში და წაუკითხავო. გომელაური კაბინეტში სტუმრობაზე უარს უცხადებს, ის ამბობს საჯაროთ გაგვლანძღეთ და საბუთებსაც საჯაროთ გთხოვთო... შემდეგ ბ. დედაბრიშვილი

ურჩევს გამგეობას ფოტოგრაფიის იჯარით გადაცემას; რადგან ეს საქმე ბევრ დროსა და ფრომს თხოულობს, ამის გამო გამგეობა თავის პირდაპირ მოვალეობას ვერ ასრულებსო. ბ. ცხვედაძე მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვაში ამტკიცებს ამის შეუძლებლობას: ნუ მისცემიხართ, ბატონებო, სასოწარკვეთილებას! იმედებით სავსე ვართ! ყველაფერს ვაწვდებითო, აბოლოებს სიტყვას ბ. ცხვედაძე.

ნ. ჟორდანიას კითხულობს: არ შეიძლება, რომ გამგეობამ ცოტა გააფართოვოს წიგნების გამომცემის საქმეო; წელს, ისე როგორც შარშან, ხუთი წიგნი გამოვიციოთ; რაა ეს ხუთ-ხუთი? მოდი რაც იქნეს და იქნეს ერთხელ ექვსი წიგნი გამოვიციოთ; ჩვენში დღეს წიგნების გამომცემა შესუსტდა, „ამხანაგობები“ აღარა სცემენ და ასეთ მდგომარეობაში საჭიროა წ. კ. საზოგადოებამ უფრო მეტი წიგნი გამოსცესო. ამას მიემხრო ბ. ნასიძე. ზოგი წევრი გამგეობისა ფულის უქონლობით იმართლებს თავს. ფული თუ არა გაქვთ წიგნების გამოსაცემათ, ურჩიეს გამგეობას, აიღეთ სალიტერატურო ფონდიდან რამდენიმე ასი მანეთი და მოახმარეთ წიგნების გამომცემასო და მოგება ისევ ფონდის ძირითად თანხას მიუმატეთო. გამგეობის უმრავლესობა ამ აზრის წინააღმდეგი იყო—სალიტერატურო ფონდი ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, თორემ ადვილი შესაძლებელია წიგნების გამომცემაში წავაგოთ და ძირითადი თანხაც დაგვეკარგებაო. ბ. ცხვედაძე იყო მომხრე სალიტერატურო ფონდის მოხმარების და გაიმარჯვა კიდევ—გამგეობას მიეცა უფლება დახარჯოს ფონდიდან იმდენი, რამდენსაც საჭიროთ დაინახავს, წიგნებიც გამოსცენ და ფონდიც გააძლიერონ. გამგეობის ზოგმა წევრმა თქვა: ფული რათ გვინდა, როცა გამოსაცემი წიგნი არა გვაქვსო. ამაზე ბ. დედაბრიშვილმა შენიშნა: თქვე დალოცვილო, წელან ამბობდით ფული არა გვაქვს და წიგნი რითი გამოვიციოთ, ახლა კი ფულს გიჩვენებთ და იძახით წიგნი არა გვაქვსო! შემდეგ ა. ახნაზაროვი ურჩევს კრებას ამოშალონ სიიდან ის წევრნი, რომელთაც ფული არ შემოუტანიათ, რადგან სხვა არა იყოს რა იმათი გვარების ბეჭდვა ექვსი მანეთი უჯდება საზოგადოებას ყოველ წლივო! ბ. ცხვედაძე ამბობს, რომ იქ კაცი ფასდება და არა ფულიო. ვინც ერთხელ ჩაეწერება, იმას ვეღარ ამოვშლითო.

დასასრულ 50-დღე ახალი წევრი მიიღეს და თავმჯდომარემ ზარის რაწკუნით კრება დახურა.

* *



ცნება მატყუარაა,
 სიტხადე გულის-შეგლეჯის,
 და ამისთანა სიტყვებზე
 განაღდა სანატრელია?
 ეს ხომ უგულვო კონცხა,
 სიგიჟით გამოწვეული.
 ხანმოკლე, უსიყვარულო
 და შეისვე კებნათ ქცეული!..
 ეს ვარსკვლავია, წყვდიადში
 ანახლათ გაბრწყინებული,
 და შეისვე გულის მომწველელათ
 უცბათვე მინელებული!..
 ეს ხომ კოკობი ვარდა,
 ობლათ გაშლილი ველათა,
 გველი რომ შემოხვევია
 მომწამვლელ მომხამვლელათა!..
 რასაც ვერძნობ, ვიფიქრობ, სიტყვითაც
 მხლათ ის გავიძეო რე
 და, მაშ, ჯობს, ბარემ ან იუას
 არც ერთი, აღარც შეორე!..
 სხვისას ვერ ვიტყვი ვერარას,
 ვერ ვატყობ სხუელთ მაჯასა;
 ოცნებით დავტყებ მცრჩევენის
 მუდამ სიტხადით ტანჯვას!..
 დ. თომეშვილი.

მცირე მენიმენა

მკვი არ არის, ეგვლას შეტეობილი ექნება, რომ ქა-
 რთლში, შარშან 2-ს ივნისს, მეტის-მეტათ დასეტყვა
 ოც-სათფლადის, სეტყვამ სრულებით მიწასთან გა-
 ასწორა მთლათ ხათესი: ზური, ქერი, სიმინდი,
 ბოსტანი, ვენახი და სხვ. დაზარალებულთა სსსარ-
 გებლათ გლეხებს აღმოუჩნდათ კერძა დაზარება
 სხვა და სხვა წყაროდან; ხლათ თავად-აზნაურთა შესა-
 ხებ, ეს შემწეობა იკისრა თფილისის სათავ-აზნ. ბანკმა,
 რომელმაც უკვე ამ საგნისათვის გადადგა რამდენიმე
 ასი თუმანი ფული; ამის შესახებ იყო შემდგარი კომი-
 სია, რომელსაც უნდა გამოეკვლია და წარედგინა ბანკის
 ზედამხედველ კომიტეტისათვის უფვლივე ცნობები და-
 ზარალებულ ზირთა შეძლებისა და ზარადის შესახებ.
 რასაკვირველია, კომისიამ გამოიკვლია და წარედგინა
 საჭირო ცნობები ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. მაგრამ

კომიტეტმა არ მიხედა არც ზატრახების თხოვნას, არც
 კომისიის დადგენილებას და მხლათ თავისი შეხედულებით
 ლებთ, ამ რამდენისამე დღის წინეთ, გადაწვიტა, ვის
 რამდენი ფული მიეცეს.

ამას ბბ. გ. ჟურული და ზ. უიფიანი არ დაე-
 თახმენ და ითხოვეს, რომ ფული დარიგებულიყო ადგი-
 ლობრივ, შემდეგ სსსტიკ გამოეკვლევისა და თანდასწრე-
 ბით გარის მახრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისა,
 დარიგებულთ მხლათ ნამდვილ შეუძლებელთ და გაჭირვე-
 ბულთ.

სამწუხაროთ, ამ აზრმა ვერ გაიმარჯვა კომიტეტის
 გადაწვეტილობის დრას და ამისათვის მრავალი შეტდო-
 მა მიხდა ფულის განაწილებაში. მაგალითათ, ზოგმა
 კარგათ შეძლებულმა ზირებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით
 და მიიღეს ფული, თუმცა სრულებით არ ეჭირებოდათ,
 ხლათ იმათ, რომელნიც უფრო დაზარალებენ და გა-
 ჭირებულნიც იყვენ—უარი მიიღეს. ეს ამბავი არ არა სს-
 სიამოვნო, მაგრამ წარსულს აღარა ეშველება; სანატ-
 რელია რომ საკვლავოთ მაინც აღარ მიხდეს ხლათ
 ამგვარი არა სსსურველი შეტდომა.

2-ს ივნისს ს. გომი,

თ. რ. ამირეჯიბი.

წერილი საპრინციპულიდან

მუშათა პარტია დემოკრატიულ რეფორმების მომხრე.
 —ადგილობრივი თვით-მართველობა.—მუშათა პარტია
 მუნიციპალიტეტებში.—მაისის არჩევნები.

(შემდეგი) *


მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი თვით-
 მმართველობა საგრძნობლათ შეზღუდულია ცენტრა-
 ლური მთავრობის მიერ, ცხოვრების სინამდვილე
 მაინც ბრმათ არ ემორჩილება კანონს და საფრან-
 გოის თვით-მართველობის ორგანიზმი (მუნიცი-
 პალიტეტები და სხვა საბჭოები) ნამდვილათ უფრო
 მეტი უფლებებით და თავისუფლებით სარგებლო-
 ბენ, ვინემ ეს ქალაქდება აღნიშნული. მუშათა
 პარტია პრაქტიკამ დაარწმუნა, რომ მის წარმომ-
 დგენელთა მოქმედება მუნიციპალიტეტებში არამც
 თუ არ არის დაკარგული დრო, პირიქით მეტათ
 ნაყოფიერია. მერე რას ელტვის პარტია კომუნაში?
 იგი ელტვის სინათლის მოფენას, სახალხო სკოლე-
 ბის გავრცელებას; სახალხო ლექციების თუ „კო-
 ნფერანსების“ (კითხვები) გახშირებას; ბიბლიოთე-
 კა-სამკითხველოების გამრავლებას, და ყველა სა-
 შუალების მოპოებას, რაც კი მუშათა შვილებს
 უადვილებს სწავლის შეძენას. როგორც მაგ. და-
 არსება სასაბლოების, სადაც მუქათათ ან ძალიან

*) იხ. „კვალი“ № 23.

დაკლებული ფასით შევირდებს ეძლევათ სადილი; საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსის და ფეხსაცმელის დარიგება; „სანატორიუმების“ დაარსება ავთამყოფი ან სუსტი აგებულების შევირდებისათვის, და სხ. ამასთანავე სწავლა უნდა იყოს სასტიკათ საერო. საფრანგეთში კლერიკალები კიდევ არა ცხრებიან და მათ საწინააღმდეგო კანონებსაც კი თავის სასარგებლოთ იყენებენ, სკოლას ხმარობენ ხალხის ექსპლოატაციის გასამტკიცებლათ და ხალხის უმეცრების გასამაგრებლათ. პარტია თხოულობს, რომ კლერიკალები სრულიად განდევნილ იქმნან სკოლებიდან


რაც შეეხება საკუთრივ შრომის მფარველობას, პარტია ცდილობს, რომ ყველა კომუნალურ სამუშაოსა და წარმოებაში შემოღებულ იქმნას 8 საათის სამუშაო დღე; დაწესებულ იქმნას — საბჭოე-

მუშაო დღის რაოდენობის და ფასის მოხსენებული დადგენილება; და რომ უკანასკნელი სასტიკათ სრულდებოდეს, მისი მეთვალ-ყურეობა უნდა ჩაბარდეს ცალკე ინსპექციას. კომუნა უნდა აარსებდეს ეგრეთ წოდებულ „შრომის ბირჟას“, რომლის გამგეობა მინდობილი აქვს მუშათა სინდიკატებს და კორპორატიულ ჯგუფებს. „ბირჟა“ მოულობს უსაქმოთ დარჩენილთათვის სამუშაოს; „ბირჟაშივე“ მოთავსებული სინდიკატების ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა. იგივე აძლევს მუშებს კრებებისთვის დარბაზს და სხ. რაკი კაპიტალისტურ პირობებში შეუძლებელია ყველა მუშათათვის სამუშაოს მოგნა და ყოველთვის არიან ფაბრიკის გარეთ დარჩენილი, პარტია თხოულობს მათთვის თავ-შესაფარს, სადაც ბინა და სასმელ-საჭმელი უნდა ეძლეოდეთ, ვინემ სამუ-



ელექტრონის სასახლე მსოფლიო გამოფენაზე

შეუძლებელია ყველა მუშათათვის სამუშაოს მოგნა და ყოველთვის არიან ფაბრიკის გარეთ დარჩენილი, პარტია თხოულობს მათთვის თავ-შესაფარს, სადაც ბინა და სასმელ-საჭმელი უნდა ეძლეოდეთ, ვინემ სამუ-



იტალიის პავილიონი მსოფლიო გამოფენაზე

ბისა და მუშათა კორპორაციების საერთო მოლაპარაკება — ხელ-ფასის „მინიმუმი“. კომუნა უნდა ცდილობდეს ყველა სამუშაოს თვითონვე აწარმოებდეს, ხოლო რაცა საქმე ეძლევა კერძო მოიჯარაბრებს, ხელ-შეკრულებაში აუცილებელ და სავალდებულო პირობათ უნდა შეტანილ იქმნას სა-

შაოს იზოვიდენ. თავ-შესაფარი უნდა იქნეს დაარსებული აგრეთვე მოხუცებულ მუშათათვის და ეგრეთ-წოდებულ „შრომის ინვალიდებისათვის“. ესენი არიან ის მუშები, რომელთათვისაც კაპიტალს ერთბაშათ ამოუწოვია მთელი სამუშაო ძალ-ლონე და რაკი აღარ შეუძლიათ მუშაობა, ე. ი. კაპი-

ტალის, მდიდართა მოგების, შექმნა, კაპიტალიც მათ ისერის ქუჩაში, როგორც უსარგებლო ნივთს. სამაგიეროთ კაპიტალი თხოულობს თავის საკურთხევლოზე ყველას, ვისაც კი ხელ-ფეხის განძრევა შეუძლია მის სასარგებლოთ და განსაკუთრებით „ეტრფის“ ქალებს, მიუხედავად იმისა, დედები არიან ისინი თუ ჯერ გასათხოვრები, ან სულ ბავშები. კაპიტალის ასეთი „ტრფობის“ შედეგია სხვათა შორის ის, რომ ძუძუთა ბავშები ძალიან ხშირათ ბედის ანაბარა რჩებიან მიტოვებულნი. ამათთვის პარტია თხოულობს ცალკე თავ-შესაფარს (creche), სადაც ბავშვები ინახებიან (უფასოთ) დიდიდან საღამომდის ე. ი. ვინემ დედები ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობენ. ამასთანავე დაარსებულ უნდა იქმნას „დედათა თავშესაფარი“ (maternités) მშობიარეთა საექიმო დახმარებისათვის. უფასო საექიმო დახმარება უნდა ეძლეოდეს აგრეთვე ყველა მუშებს. წამლებიც ძალიან დაკლებული ფასით. დაარსებულ უნდა იქმნას სახალხო მუქთი აბანოები, „სარეცხავი სახლები“ (lavoirs) და სხ. ცალკე იურიდიული ბიუროები მუქთათ უნდა აძლევდენ მუშებს ყოველსავე იურიდიულ რჩევა-დარიგებას. შრომისა და კაპიტალის სამედიატორო სასამართლო (La prud'homme)¹⁾ უნდა გადაკეთდეს თანხმათ შრომის ინტერესებისა (ე. ი. რომ კაპიტალისტების წარმომადგენელთ არავითარი უპირატესობა არ ჰქონდეთ), მანამდის კი მუშათა წარმომადგენელთა მოსამართლეთ უნდა დაენიშნოს ისეთი ჯამაგირი, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მათ სრულ დამოკიდებულობას კაპიტალეზისაგან. გადაწყვეტილივე ჯამაგირი უნდა ეძლეოდეთ ყველა მოხელეებს მუნიციპალიტეტებში, რომ ამ გვარათ მუშებსაც შეეძლოთ იქ სამსახური. შემდეგ პარტია თხოულობს, რომ წვრილი მდგმურები (პატარა სახლებში ქირით მცხოვრებნი) განთავისუფლებულ იქმნან ყოველსავე პირადსა თუ ავეჯეულობაზე დადებულ გადასახადებისაგან (cote mobilière et personnelle). ეს გადასახადი ძვირფას სახლებში მცხოვრებთ უნდა დაეკისროს პროგრესიულათ, ე. ი. რამდენიც მეტ ქირას აძლევენ, იმდენი მეტი გადასახადი ჰქონდეთ შეწერილი. ამასთანავე ძველი სახლების შეკეთება და „ასენიზაცია“ (ჰიგიენურათ მოწყობა) უნდა ხდებოდეს მესაკუთრეთა ხარჯით. გადასახადი უნდა დაედოს ცარიელ ადგილებს—თანხმათ მათი ღირებულებისა და გაუქირავებელ შენობებს—იმისდა მიხედვით, როგორი ქირის ადებაც შეუძლიათ. დასასრულ, პარტია

თხოულობს სურსათზე დადებულ ბაჟების (taxes d'octroi) გაუქმებას. საქმე იმაშია, რომ საფრანგული გეთის ბევრ ქალაქებში—და მათ შორის პარიჟში—დღევანდლამდის არსებობს ბაჟი სოფლებიდან და პროვინციებიდან გასაყიდათ შემოტანილ სურსათსა და სანოვაგეზე. ბაჟი ხომ ყოველთვის საქონლის ფასს ეკეცება, ასე რომ ნამდვილი მისი გადახდელია საქონლის მყიდველი-მომხმარებელი და, რაკი საზოგადოთ საქონლის, მით უფრო პირველ საჭიროების დამაკმაყოფილებელ საგნების—მომხმარებელია უმთავრესათ მშრომელი ხალხი, ბაჟებიც ამას აწვება მთელი სიმძიმით. ამიტომ პარტია თხოულობს დასახელებული ბაჟების, ისე როგორც საზოგადოთ ყველა არა პირდაპირი გადასახადების, გაუქმებას. მის ნაცვლათ როგორ გადასახადს ელტვის, მკითხველმა უკვე იცის პარტიის პრინციპი (დედა-აზრი) ამ შემთხვევაში. მშრომელი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს გადასახადებისაგან, რადგან ისედაც—შრომის დროს—საკმაოთ ახდევინებენ. გადასახადი უნდა ერთმეოდეს მხოლოთ კაპიტალს. და რაკი მუშათა პარტია ყველგან და ყველაფერში იცავს სიმართლეს და თანასწორობას, კაპიტალიდანაც თხოულობს გადასახადს მისი ღირსებისა და რაოდენობის მიხედვით.

ჩვენ მოვიყვანეთ მუშათა პარტიის უმთავრესი მუნიციპალური პროგრამა, რომლის განხორციელებას იგი ელტვის დღესვე და კიდევ ახორციელებს იმ კომუნებში, სადაც მისი წარმომადგენელნი უკვე შეადგენენ ძალას. მოვიყვანეთ ორიოდ მაგალითი: ქალ. ლილში—მუშათა პარტიის წარმომადგენელთა მეოხებით—სხვათა შორის დაარსებულია: „დედათა სახლი“, რამდენიმე „ბავშვების თავ-შესაფარი“, სასწავლებლის სასადილო, რომელიც ყოველ დღე ასაზრდოებს 6 ათას ბავშს. (ლილში 256 ათას 276 მცხოვრებია) გახსნეს აგრეთვე რამდენიმე ახალი სასწავლებელი, დანიშნეს მრავალი სტიპენდიები, მართავენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებთან ერთათ სახალხო კითხვებს, ლექციებს და სხ. შესამჩნევათ დაკლებულია თეატრის ფასი; 400 ადგილიც მუქთათ ეძლევათ მუშებს. ყველა საქალაქო სამუშაოში შემოღებულია ხელფასის „მინიმუმი“ და 8 საათის სამუშაო დღე. მუნიციპალიტეტს უკვე მზათა აქვს „შრომის ბირჟის“ ასაშენებელი თანხა. მოხუც მუშათა და „შრომის ინვალიდების“ დამხმარებელი ბიუჯეტი, რომელიც წინეთ, ბურჟუა-ხმოსნების უმრავლესობის დროს (1896 წ.) ხუთასიათასი ფრანკი იყო, დღეს ერთი მილიონია; სახალხო სასადილო აძლევს სადილოს დაკლებულ ფასით 4—5 ათას ადამიანს; ღამის თავ-შესაფარი აძლევს ბინას 25 ათასს სულს,

¹⁾ სასამართლო შედგება 12 კაცისაგან. 6 ირჩევა კაპიტალისტებისაგან, 6—მუშათაგან. მათ დადგენილებას ისეთივე ძალა აქვს, როგორც ჩვეულებრივ მომრიგებელ სასამართლების განაჩენებს.

აბანოს 14—15 ათასს; წვენს 11 ათასს; არიგებს 25 ათას კილოპურს; ორ კვირაში ერთხელ უმართავს კონცერტებს და სხ. და სხ. საბჭო აძლევს ნივთიერ დახმარებას მცხოვრებთა საერთო რიცხვის ერთ მეოთხედს, ე. ი მცხოვრებთა მთელი მეოთხედი გარიყული ცხოვრებიდან, თუ არ ეს დახმარება, დაიღუპებოდა. ეს ფაქტი კარგათ მოწმობს თუ რა ღრმაა ის ჭრილობა, რომელსაც გასაშტერებელ, სახლპრო სიმდიდრესთან ერთათ ჰბადებს კაპიტალიზმი დღევანდელ საზოგადოებაში. გარდა ქ. ლილისა, შეიძლება მრავალი მაგალითები მოგვეყვანა მუშათა პარტიის სასარგებლო მოქმედებისა აგრეთვე სხვა ქალაქებიდანაც; მაგ. რუბედან, რუანიდან, სეტიდან, ბორდოდან და სხ. და სხ., სადაც სხვათა შორის ვხედავთ, რომ მუნიციპალიტეტებში დახმარებას აძლევენ მუშებს გაფიცვის დროს, სუფსიდიას უნიშნავენ მუშათა სინდიკატებს, ყოველსავე შემწვობას უჩვენენ მუშებს კონგრესების მოსახდენათ, აგრეთვე პირველ მაისს შრომის დღესასწაულის გასამართათ.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან მკითხველისათვის ცხადია, რომ მუშათა პარტიის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ენერგიული მონაწილეობა მიიღოს ხოლმე ყველა ადგილობრივი თვით-მართველობის ორგანოების არჩევნებზე, სწორეთ ისე, როგორც იქცევა საკანონმდებლო არჩევნებზე. და არც დაზოგა მან თავისი ძალ-ღონე ამ მოვალეობის შესასრულებლათ მაისის 6, 13-ს და აგრეთვე 20-სა და 27-ს.



6-სა და 13²) მაისს მოხდა ხმოსანთა არჩევა მთელ საფრანგეთში. 20-სა და 27-ს არჩეულ იქნენ სენის დეპარტამენტის „გენერალურ საბჭოს“ წევრთა ერთი ნაწილი (მეორე ნაწილს ხომ შეადგენენ პარტიის ხმოსნები). საარჩევნო ბრძოლისათვის ყველა პარტიებმა კაი ხნიდანვე იწყეს შემზადება. ხოლო არჩევნების წინა ორი კვირა გაუთავებელ ყრილობებს წარმოადგენდნენ. ორატორები—და მათ შორის კანდიდატები, რასაკვირველია—თავ-თავის პროგრამას აცნობდნენ ხალხს, თვით ხალხი ორატორებს სხვა-და-სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ კითხვებს აძლევდა, რომ უკეთ გაეგო მათი რწმენა-შეხედულება ყველა საჭირ-ბოროტო საგნებზე. არჩევნებით იყო მოცული მთელი საზოგადოება, არჩევნები შეადგენდნენ პრესის უმთავრეს საგანს, არჩევნებზევე

²) პირველ დღეს (უსათუოთ კვირაობით) ირჩევიან კანდიდატები აბსოლიუტური ხმის უმეტესობით, ე. ი. ვინც ხმების საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს მიიღებს; მეორე კვირას ასარჩევი რიცხვის შესავსებათ ირჩევიან უბრალო (შედარებით) ხმის უმეტესობით.


ალაპარაკდნ ქუჩის ყველა კედლები, უფრო აფიშებითა და განცხადებებით სხვა-და-სხვა პოლიტიკურ პარტიებისა და კანდიდატებისაგან. ბრძოლა მით უფრო მწვავე იყო, რომ რეაქციამ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და გადაჭრით გამოაცხადა: გამარჯვებას მე ვერავინ შემეცილება, რადგან მე ვიბრძვი საფრანგეთის ყველა კლასების ინტერესების და უფლებების დასაცავათ. ნაციონალისტებმაო—აცხადებდა „საფრანგეთის სამშობლოს ლიგა“ ჟიულ ლემეტრის ბაგით—უნდა გაწმინდონ საბჭოები არსებულ სამინისტროს მომხრეთაგან; მუნიციპალური გამარჯვების შემდეგ ნაციონალისტები იერიშს მიიტანენ მთავრობაზე, რომელმაც მოსპო პოლიტიკური თავისუფლება (მით რომ უწარჩინებულესი პატრიოტები, დერულენდი, გერენი და სხ. სამშობლოს მოაშორა). თვით ნაციონალისტებმა უნდა იტვირთონ სოციალური კითხვის გადაჭრა, რომლის საშუალებაა საურთიერთო დამხმარებელი კასები, სამიწათ-მომქმედო კრედიტი, მუშათა ბანკები და სხ. ერთი სიტყვით,—აბოლოებს პატროტი ლემეტრი—ხალხს უნდა დავანახოთ, რომ „ნაციონალისტები არიან ქეშმარიტი სოციალისტებიო“. მეორე პოლიტიკური ჯგუფი ნაციონალისტებისა სახელწოდებით „კომერციის და ინდრუსტიის კავშირი სოციალური დაცვისათვის“ აცხადებდა, რომ იგი ორი წელიწადია არსებობს და პირ-ნათლათ ემსახურება თავის მიზანს; ეს მიზანია „ყველა ღონისძიებით წინააღმდეგ სოციალურ პროპაგანდას“ (არა გვეგონია თუ „სამშობლოს ლიგა“ აპატიებს მათ ასეთ გულ-ახდილობას). ამ რამდენიმე თვის წინეთ—ამბობდა განცხადება—სოციალისტებმა რამდენიმე კონგრესი მოახდინა პარიჟში და მთავრობას მათთვის ხმაც არ გაუცია—„მას შემდეგ რაც სოციალისტი მიღერანი სამინისტროში შევიდა—განაგრძობს იგივე განცხადება—კომერსანტებსა და მრეწველთ მთლათ დაგვეკარგა მოსვენება... ჩვენ წარმოვადგენთ ქვეყნის შრომას, ძალასა და სიმდიდრეს და ამიტომ ხმა უნდა ავამაღლოთ, როცა ქვეყნის ნივთიერი და მორალური ინტერესები განსაცდელშიაო.“ ნაციონალისტებმა და ყველა მათმა თანამოძმეებმა, ანტისემიტებმა, კლერიკალებმა, მონარქისტებმა—ყველა ამ ბატონებმა ძმურათ მისცეს ერთმანეთს მხარი—უფრო განცხადებებით მოქმედებდნენ და ძალიან ერიდებოდნენ ხალხის წინაშე პირდაპირ ლაპარაკს. მათ კრებებზე მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ შესვლა. თუ ვინცობაა ერთ „კვარტალში“ გამართულ მათ კრებაზე მეორე, მესამე „კვარტალის“ ამოჩვეული მოიწადინებდა შესვლას, ისინი მაშინვე პოლიციას ყვიროდნენ. უარსაკვირველია არც ერთ სოციალისტურ კრებაზე იმა-

თი ორატორი არა ჩნდებოდა, თუმცა დაბეჯითებით ეპატიჟებოდნენ. აზრებისა და იდეების ნაცვლათ ისენი ფულთი საქმობდნენ³⁾. როცა პროგრამის თაობაზე შეეკითხებოდნენ, ისინი გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ჯარს!“ „ძირს ურიები!“ თუ ამითაც არ დაკმაყოფილდებოდნენ ამრჩევდნენ, მაშინ დასძენდნენ: ჩვენ ვართ ნაციონალისტ-პატრიოტ-რესპუბლიკანელ-რადიკალ-სოციალისტ-ანტიკოლექტივისტებიო; ჩვენ ბანაკშია ყველა ჯურისა და ტემპერამენტის მოღვაწენი: პატრიოტები, სოციალისტები, კლერიკალები, ლიბერალები, რადიკალები, ანტისემიტები—განგაშობდნენ და ხმაურობდნენ ყოველსავე მართებულობას მოკლებული რეაქციონერები.

პარიზი.

ლ. დ.

(დ-სასრული იქნება)



სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II დროს.

უფროსი პირი მეფის კარს იყო სახლთ-უხუცესი. ეს თანამდებობა ეკუთვნოდა ზურაბ წყრეთელს. უპირველესი მისი მოვალეობა იყო გაწერა და მოგროვება სახელმწიფო ხარჯისა, საიდანაც მას ეკუთვნოდა მეთექვსმეტი ნაწილი. ამას გარდა მეზაფენი მიუტანდნენ საჩუქრათ ორსა ან სამს ქესსა წელიწადში. მეფის ნაბოძებიდან ყმათ—სახლთუხუცესს ეკუთვნოდა თითო კომლზე თითო ხარი. სახლთ-უხუცესობა რჩებოდა ერთ გვარში, თუმც, ხშირათ მემკვიდრეობით იგი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე.

სახლთუხუცესი გამგებელი იყო ყველა სახელმწიფო საქმეებისა. იგი თვალს ადევნებდა მეფის შემოსავალს. შემოსავალს შეადგენდა: 1) იჯარებიდან 1809 წ. 97 ქესსა (ოსმალური ფული) ანუ 20,000 მან. 2) საურნე—თითო კომლზე ორი მარჩილი (=1 მან.), 3) საუდიგრო—კომლზე ექვსი ბათმანი ხორბელი (ბათმანი 11 გირვანქა), ან 15 ბათმანი ღომი და 120 თუნგი ღვინო. მთელ სოფელს შეაწერდნენ აგრეთვე პირუტყვის ასე, რომ ათ კომლზე მოდიოდა ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი და ქათამი. სახასო ყმათ ეღვათ გარდაუწყვეტელი ხარჯი, მათ შეაწერდა სახლთუხუცესი „თავის მიმხედველობით“. 4) მეფის შემოსავალს

შეადგენდა აგრეთვე ჯარიმა, ქურდს ერთმეოდე ერთი-ხუთათ. ამ ხუთი ნაწილიდან ორი წილი შეირიცებოდა სახელმწიფოთ, ორი წილი ეძლეოდა ნაპარევის პატრონს და ერთი წილი ბოქაულთ-უხუცესს. 5) ქონება უმემკვიდრეთ ამოწყვეტილისა შეირიცებოდა სამეფოთ. ამასთანავე უნდა შეენიშნოთ, კერძო საკუთრება მეფისა და სახელმწიფო ქონება არ იყვენ განსაზღვრულნი,—ორივე მეფის სარჩო იყო. დედოფალს შემოსავალი ჰქონდა საკუთრათ: 12 ქესსა და 274 კომლი აზნაური და გლეხი. მისი შემოსავალი არ აღემატებოდა 2000 მ. ბატონიშვილებს ჰქონდათ საკუთრება—საბატონი-შვილო.

მეფის ქონების გამგებლობისათვის სახლთუხუცესს ჰყავდა თანაშემწენი: 1) ხაბაზთუხუცესი. ამ თანამდებობაზე ამოირჩეოდა ყოველთვის თავადი ნიჭარაძეთაგანი. ის იგზავნებოდა ხორზლის და ღომის მოსაკრებათ, თითონვე იყო მოვალე მის შენახვისა და ამ შრომისათვის მას ეკუთვნოდა მეთექვსმეტი ნაწილი. 2) მეღვინეთ უხუცესნი: სვიმონ წყრეთელი და ერთი იოსელიანთაგანი. ესენი აგროვებდნენ და ინახავდნენ ღვინოს, რისთვისაც მათ ორივეს ერთათ მიეცემოდათ მეთექვსმეტი ნაწილი. 3) მესტუმრეთ-უხუცესი. ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ იოსელიანთაგანს და ან საყვარელიძიანთაგანს. ესენი მოაგროვებდნენ პირუტყვისა, რისთვისაც მათ ეძლეოდათ ტყავი და თითო ბათმანი ხორცი თითო ძროხაზე.

მეფესთან იყვენ შემდეგი თანამდებობის პირნი: 1) მორდალი ანუ ბეჭდის შემნახავი (ავალი-შვილთაგანი). სიგელზე ბეჭდის დამსმელს აძლევდნენ ხუთ მარჩილს კომლზე და იჯარიდან თითო მანეთზე ოროლ გროშს. 2) მალფეთ-უხუცესი (წყრეთელთაგან) მათ ებარათ სახელმწიფო ფული და ქონება. იღებდნენ მეთექვსმეტი საჩუქრის გაცემის დროს. 3) ფარეშთ-უხუცესი (აზნ. აბაშიძეთაგანი) ებარა სასმელ-საქმელი მეფის სახლისა. ეძლეოდათ საჩუქარი მეფის ნებით და მეთექვსმეტი მეფისაგან ნაბოძები ტანისამოსისა, მეფის ძველი საღამური ტანისამოსი, ქვეშავები, ხალიჩები, ალთაფი, ტაშტი და სხვ. 4) მეჯინაბეთ-უხუცესი (თავ. აბაშიძეთაგანი), ეძლეოდა მეთექვსმეტი მეფისაგან განსაჩუქრებული ცხენისა. მეფის ჯოგიდან კვიცი და თვალ წამხდარი ცხენები; მეფის ომში და ნადირობაში გამოწვეული ტანისამოსი და ძველი უნაგირი. 5) ბაზიგრო-უხუცესი (აზნ. ყროჩვეთაგანი. რომელსაც ებარა მეფის მიმინო, ქორი, ბაზიგრი და სხვ.) 6) მეძალთ-უხუცესი (თავდგირიძეთაგანი), რომელსაც ებარა მეფის ძაღლები. ამ ორ მოხელეს ჯამაგირათ ჰქონდა მეთექვსმეტი ფრინველისა და სხვა სტაგირა, რომელიც

³⁾ ვაზეთების სიტყვით ერთმა ნაციონალისტების კანდიდატმა (Dausset) 50,000 ფრ. დახარჯა პროპაგანდაზე; ხოლო მთლათ რეაქციამ კი მილიონობით

გროვდებოდა ქორთა და ძაღლებთა საზრდოთ. რასაკვირველია, როგორც ზურაბ წერეთელი სწერს, ჰქონდათ საერთოთ მოხელეებს სხვა სარგებლობაც, მაგალითათ, მომატებულ ხარჯს აგროვებდენ და ან მეტათ აფასებდენ მეფის ნაჩუქარს, რათა მეტი სარგებელი მიეღოთ. ხშირათ ძალათ უფუჭებდენ ქეჩებს და სხვ.

სოლომონ მეფის დროს იმერეთი ექვს მაზრათ იყო გაყოფილი. სამოქალაქო გამგებლობისათვის: ვაკე, ოკრიბა, საჩხეიძეო, არგვეთი, რაჭა და ლეჩხუმი. სამოურაოანი იყვენ: 1) ქუთაისისა (თავ. წულუკიძეთაგანი), 2) ჩხეიძისა (თავ. წერეთელთაგანი), 3) ლომისიანთხევისა (აზნ. მაჭავარიანთაგანი), 4) ხონისა (აზნ. აბულაძეთაგანი), 5) საპაიქაოსი (თავ. ლორთქიფანიძეთაგანი), 6) საჯავახოსი (თ. ლორთქიფანიძე), 7) საჭილაო (აზნ. კორძაია,) 8) ფარცხანყანევი (თავ. ნიჭარაძე), 9) გეგუთისა (თავ. იაშვილი), 10) რიონისა (აზნ. მესხი), 11) ვარციხისა (თავ. წერეთელი), 12) სიმონეთისა (აზნ. კლდიაშვილი), 13) მუხურისა (აზნ. საყვარელიძე), 14) სახანისა (თავ. ავალიშვილი), 15) საქარისა და კვარისა (თავ. აბაშიძე), 17) მანდისა და ხიდის კარისა (თავ. ლეონიძეთაგანი), 18) გლულისა, ღერბისა, ჭადრათისა (თავ. ჯაფარიძე), 19) ჭყვისისა (თავ. გელოვანი) და სხვ. დასახელებული მოურაენი ცხოვრობდენ ან მეფის ციხეში, ან საცა სახასო ყმანი იყვენ.

საეკლესიო მამულების მოურავებათ ირჩეოდენ ეკლესიის ნებით. მოურავი შემოსავალს გაჰყოფდა ხშირათ იმდენ ნაწილათ, რამდენი ოჯახიც იყო იმათ ვარში. მოურავს შემდეგი სარგებლობა ჰქონდა: მოგზაურობაში სასმელ-საქმელი იყო მოუკლებლათ და სახლში ძღვენი. სარგებლობდა ამორჩევით ერთი სახასო გლეხით, რაც დებულება იყო. ქვრივების საჩუქმო ეკუთვნოდა მას. მოურავს მოუხნავდენ, დაუთესავდენ და მოუმიდენ. ეძლეოდა მსახური და მეფის ნაჩუქარიდან მიეცემოდა რამდენიმე ნაწილი.

ქუთაისის მოურავს საზრდოთ ჰქონდა: იჯარების შემოსავალი მარილისა, თევზისა, საქონლისა, საქმის გარჩევისა. მას ეკუთვნოდა სარდლობის ხარისხი. სამართალს აწარმოებდენ მდივანბეგნი ან სახლში, ან „ჩრდილოვან ხის ქვეშ“. სამოქალაქო საქმე განირჩეოდა ფიცით: უნდა დაეფიცნა პასუხის მგებელს რამდენიმე თანამოციარითა, რომელნიც თანასწორნი უნდა ყოფილიყვენ მოჩივრისა ხარისხით. ათ მარჩილათ ღირებულ საგანზე საჭირო იყო ერთი თანამოციარი, ოცს მარჩილზე—ორი და სხვ. ვინც ვერ იქირავებდა საჭირო რიცხვს მოციარითა, ის გამტყუნდებოდა. შეადგენდენ პატარა

ბარათს და აქვე აძლეოდენ გამართლებულ მხარეს როცა ირჩეოდა საქმენი გაცარცვისა, მკვლელობისა, ტყვეთა გაყიდვისა, მაშინ მდივანბეგნი მოიწვედენ მოწმეთა და ქეშმარიტების დასამტკიცებლათ დამნაშავეს თავს ამართლებინებდენ ვახურებული რკინით, მღულარე წყლით და ხმაღში გასვლით. რადგანაც ვახტანგ მეფის კანონით კაცის მკვლელს დიდი ჯარიმა ედვა ფულათ, ამიტომ სხენაირ სასჯელს მიუწყოდენ: 1) ვინც გულში განზრახვით მოჰკლავდა კაცსა, მას დაწვამდენ, ან ცოცხალს დამარხავდენ და მოკლულის სასარგებლოთ ფულსაც ახდევინებდენ. 2) ვისაც გაეყიდნა სამზე მომატებული ტყვე, მას ორივე ხელ-ფეხს მოსჭრიდენ; სამზე ნაკლების გამყიდავს ან ხელს, ან ფეხს მოჭრიდენ. ნაქურდალი ერთი ხუთათ გადახდებოდათ! ქურდების და ავაზაკების პოვნა ვალათ ედოთ ხევისთავთ (თავ. ბარათაშვილი), რომელნიც იღებდენ ჯარიმის მესხუთედს. სამოქალაქო და სუყველა საქმე დაბოლოვებული ჯარიმის გამორთმევით, აღსრულებაში მოჰყავდათ ბოქაულებს. ბოქაულთ-უხუცესი იყო წერეთელთაგანი. ამას ეკუთვნოდა მეთაფი მამულის ფასისა ან ჯარიმისა; თითო აბაზი თანამოციარზე; თითო ოჯახიდან საურის აკრეფაზე ცამეტი ფარა. ამ შემოსავლიდან ბოქაულთ-უხუცესი აძლეოდა ბოქაულებს. უკმაყოფილონი დიანბეგთა განაჩენით ჩიოდენ მეფესთან. მეფე კვალათ გაარჩევინებდა საქმეს და ან თითონ აპატიებდა დამნაშავეს სიკვდილით დასჯას.

სოლომონ მეფის დროს იყვენ სამნი სარდალნი. უფროსს მათ შორის, თავ. ქაიხოსრო წერეთელს, ჰყავდა განგებლობაში ჯარი ახლანდელი შორაპნის და რაჭის მაზრისა. იმას ჰქონდა ორი ბაირალი: ერთი მწვანე აბრეშუმის ფარჩისა წმ. გიორგის ხატით, მეორე წითელი ადგილიანი ფარჩა და ზედ გამოხატული ჯვარცმა იესო ქრისტისი, ოკრიბის სარდალს აგიაშვილს ჰქონდა თეთრი და ჩალის ფერი ბაირალი, ზედ გამოსახული ჯვარით მზე-მთვარათ; ჯარივაკისა (ქვემო იმერეთისა) ებარა სვიმონ წულუკიძეს თავის ბაირალით. ვინც ომში მოერიდებოდა სამსახურს, მას ყაბალახის მაგივრათ დახურავდენ ლეჩაქს. ვინც ახირებით უარს ჰყოფდა ომში წასვლას, მას ჩამოართმევდენ ყმას. ასაჩუქრებდენ გამოჩენილთ თოფით, ცხენით, თანამდებობით. მაგრამ ომში უფრო საშოვრისათვის მიდიოდენ, დავლის მოსაპოვებლათ, რის შესახებ მეფე ვახტანგი დაწვრილებით განმარტავს. თუ წადებული საგზალი, თვითოეულს თავისთვის არ ჰყოფნოდა, მოჰკრეფავდენ გარეშე მომდებარე სოფლებში, უთანასწოროთ ვინც შეხვდებოდათ. მშვიდობიანობაში

ჯარს დაითხოვედნ და რჩებოდნ მფის გუშაგნი. ზოგ-ზოგს ციხეში ეყენათ ჯარი და ზარბაზნები ბოლოს დროს (კვარის ციხე, ჩხერი, ნაგორვეი, ხოტევი).

ეს წერილი დამყარებულია იმ ცნობებზე, რომელნიც ჩვენ ამოვკრიბეთ ჟურნალ „ცისკრიდან“ (1860, 1).

ა. ხახანაშვილი

ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა.

გ ე რ მ ა ნ ი ა

(დასასრული)*

II

როგორც მოგვხსენებათ, კაპიტალისტური წარმოების განვითარება და მისი ვადიდება აუცილებლათ არღვევს წვრილ, სანახევროთ პატრიარქალულ და შინაურ წარმოებას, იწვევს ქალაქის და სოფლის წვრილმან მესაკუთრეთა დიდი უმრავლესობის გაპროლეტარიატებას, პატარა საკუთრების გაქრობას; მათ ნანგრევებზე ჩაღდება თანამედროვე კაპიტალიზმი, და აი, გერმანიის კაპიტალისტურმა განვითარებამაც ამ გზით იარა და გამოიწვია სხვათა შორის შემდეგი მოვლენები:

1882—1895 წლამდე ქალთა რიცხვმა, რომელნიც თავის შრომით ირჩენდნ თავს, მოიმატა 19% და 1895 წ. 25% მთელი გერმანელი ქალებისა ეკუთვნოდა მუშათა კატეგორიას.

1882—1895 წლამდე მუშა ქალთა რიცხვი 5.541.517-დან ავიდა 6.578.350-მდე. ე. ი. მოიმატა ერთი მილიონი.

მრეწველობაში და ვაჭრობაში 1882—1895 წლამდე მოიმატა:

	კაცები.	ქალები.	ორთა შუა.
მოხელეები—	115,6%	254,7%	118,9%
მუშები—	52,8%	104,9%	62,6%

ეს ციფრები მოგვყავს ჩვენ კ. კაუცკის ახალი წიგნი „მარქსიზმი და მისი კრიტიკასი ბერნშტეინი“-დან (გვ. 232). ეს ციფრები ფრად საგულისხმოა, აქედან ვხედავთ, რომ მუშა ქალთა რიცხვი ორჯელ უფრო ჩქარა მატულობს, ვინემ მუშა მამაკაცთა. ამის მიზეზი ორგვარია. პირველი: გაღატაკება წვრილმან მესაკუთრეთა, რაც ოჯახის წევრთ იძულებულ ჰყოფს წავიდნ მუშათ; მეორე:

მუშებს არ ეძლევა იმდენი ხელფასი რომ არჩინონ თავისი ქირით მთელი ოჯახი; მისი ქირა საკმარისი სისწრაფით არ მატულობს, ამიტომ ოჯახის დედათა სქესის წევრი იძულებულია გავიდეს ბაზარზე თავისი ძალ-ღონის გასაყიდათ. აქედან ცხადია, მუშა-ქალთა რიცხვი უფრო ჩქარა რატომ მატულობს, ვინემ მუშა-კაცთა.

მეორე საყურადღებო შედეგი სოფელში და ქალაქებში მცხოვრებთა განაწილება და მათი ზრდაა. 1882—1895 წლამდე მთელ გერმანიაში მცხოვრებთა რიცხვმა მოიმატა 14%; ხოლო იმ ქალაქებში კი სადაც 100.000-ზე მეტი იყო მცხოვრები— 111,20%. ამავე დროს სოფლის მცხოვრებთა რიცხვმა მთელ გერმანიაში დაიწია 1,3%-ზე.

ამ ნაირ ხალხის განაწილებას სოფლებსა და ქალაქებს შორის დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ეს განაწილება გამოიწვია ეკონომიურმა მიზეზებმა; ეს მიზეზები ამ ხალხთა რიცხვის განაწილების საშუალებით ამზადებს ახალ ნიადაგს, ამ ნიადაგზე იზადება ახალი პირობები საზოგადოებრივი ბრძოლისა, ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებისა. ცენტრი პოლიტიკური ძალისა გადდის ქალაქებში, სოფლები კი ჰკარგავენ პოლიტიკურ მნიშვნელობას და სუსტდებიან როგორც კონსერვატიული ძალა; ქალაქი კი ძლიერდება და მასთან ძლიერდება პროგრესიული ფაქტორები...

თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია ბევრი სხვა-და-სხვა საჭიროება: 1) ბაზრის გაფართოვება და 2) გერმანელი კაპიტალისტების, რომელსაც გერმანიაში არ ჰქონდა ალაგი წარმოებაში, ახალი ასპარეზის მოპოება. და აი ამიტომ, გერმანიის მთავრობა შეუდგა ენერგიულათ ახალი გზის გამოკვლევას—საჭირო სარბიელის მოსაპოვებლათ; ეს გზა უკვე გამოკვლეული იყო დიდი ხნით საფრანგეთ-ინგლის-ბელგიის ბურჟუათა მიერ. ეს გზა საკოლონიო პოლიტიკაა. მაგრამ საკოლონიო პოლიტიკა თხოულობს ძლიერ ფლოტს; გერმანია გეოგრაფიულათ და პოლიტიკურათ ისეთ პირობებშია, რომ მისთვის ძლიერი ხმელეთის ჯარი აუცილებლათ საჭიროა; ამიტომ გერმანიას სურს კონტინენტზე არ შემოვიდოს თავისი ჯარი და იმავ დროს ფლოტი გაადიდოს. მმართველობამ წარუდგინა რეხსტაგს კანონ-პროექტი, რომელშიაც ამტკიცებს, რომ გერმანიის კომერციის დასაცველათ ოკეანაში ფლოტის ვადიდება აუცილებელი საჭიროა; მმართველობა განაგრძობს: კომერციის დაცვა-განვითარებისათვის გერმანიისთვის საჭიროა მშვიდობიანობა, როგორც ხმელეთზე, ეგრეთვე ზღვაზე; მაგრამ მშვიდობიანობისათვის

* იხ. „კვალი“ № 21.

საქართველო

გერმანიამ უარი კი არ უნდა უყოს თავის ინტერესებს, სხვებს კი არ უნდა დაუთმოს, არამედ მშვიდობიანობა მისთვის გამოსადეგი და სასახლო უნდა იქმნეს. გერმანიის მიზანია უსისხლოთ, მხოლოდ თავის სურვილის გამოცხადებით, თავის ულტიმატუმით იძულებულ ჰყოს სხვა სახელმწიფოები დაუმორჩილონ თავისი ინტერესები გერმანელ ბურჟუაზიის კეთილდღეობას. აი ამიტომაც გერმანია ცდილობს თავისი ფლოტი გააძლიეროს. ახალი გემების აშენება გაგრძელდება 1916 წლამდე; ყოველ წლიური ხარჯი ფლოტისთვის მოემატება 11 მილიონი მარკა და ერთ დროით სესხი 769 მილიონი მარკა.*)

ფლოტი მართლაც გამოადგა გერმანელ ბურჟუაზიას. გერმანიამ ძალმომრეობით მიითვისა შორ აღმოსავლეთში — ჩინეთის იმპერიაში — კაიო-ჩაუ (პროვინცია ჩანტუნგ). ტიენ-ცინი (რომელიც გერმანიის გავლენის ქვეშაა) პეკინთან (სატახტო ქალაქია ჩინეთში) ძლიერ ახლოსაა. ამის წყალობით ჩინეთში გაძლიერდა გერმანიის გავლენა და მასთან მისი საქონელი და კაპიტალიც მეტი ტრაალებს ამ უზარ-მაზარ „სახელმწიფოში“.

1897 წლამდე გერმანიას აღმოსავლეთში არ ჰქონდა ფეხის დასადგამი მიწა, ამ წლიდან კი მაგრა მოიღვა იქ ფეხი. გერმანიას უკვე დაუთმო ჩინეთმა რამდენიმე პროვინციაში მონობოლია რკინის გზის გაყვანისა.

ვილგელმ II დაუმეგობრდა კათოლიკებს, ის მიდის იერუსალიმში, გზავნის კათოლიკე-მისიონერებს (პროტესტანტთა ხელმწიფე) შორ აღმოსავლეთში. კათოლიკებიც სამაგიეროთ ეხმარებიან მას და ამ ნაირათ თავისკენ იზიდავს კათოლიკეთა პარტიას გერმანიაში. ის უმეგობრდება ხონთქარს და ამ გვართ გერმანიის მფარველობის ქვეშ თათრები დაუსჯელათ ელეტენ საბრალო სომხებს. სამაგიეროთ მაღლიერი ხონთქარი გერმანელ ბურჟუაზიას აძლევს რკინის გზების კონცესიებს ანატოლიაში, სირიაში და სხვაგან. გერმანელ კაპიტალისტებს გაჰყავთ სათათრეთში რკინის გზები.

*) 1880—1888 წლამდე (ამ წელში გარდაიცვალა ვილგელმი I) სამხედრო ბიუჯეტმა მოიმატა 4 ბილიარდი 114 მილიონი მარკა; იმდენსავე დროს განმავლობაში, 1888—1897 წლამდე, ამ ბიუჯეტმა მოიმატა 5 ბილიარდი 926 მილიონი, მარკა, ე. ი. 1 ბილიარდი 812 მილიონი მარკით მეტი. ფლოტის ბიუჯეტმა 1888—1897 წლებში, შედარებით წინანდელ 8 წლებთან ჩაყლაბა 26 მილიონი მარკით მეტი: 14 მაგიერათ 40. ვილგელმ II ტახტზე ასვლის შემდეგ გერმანიის სახელმწიფო ვალი გასამკეცდა: 720 მილიონ მარკადან ავიდა—2 ბილიარდ 130 მილიონ მარკამდე.

ვილგელმ II იმედი აქვს მოაქციოს თავისი მფარველობის ქვეშ პალესტინაც. ამ ნაირათ ვილგელმ მეფე უახლოვდება პაპა ლეონ XIII და უმეგობრდება ხონთქარს აბდულ ამიდს.

საკოლონო პოლიტიკა, შექმნა ახალი პროვინციებისა, დამორჩილება სუსტ სამეფოთა, ჯარის გაძლიერება, ახალ ბაზართა ძალით მოპოება და სხვა და სხვა, არიან შედეგნი და გამოწვეულნი მრეწველობის განვითარების, და ამავე დროის მიზეზნია ამ მრეწველობის აყვავებისა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხის, მშრომელთა სასარგებლოც იყოს. გამდიდრება მრეწველთა ანუ ბურჟუაზიის და ხალხის ეკუთვნის სრულიად სხვა-და-სხვა კატეგორიებს... რას ფიქრობს ამაზე ხალხი და მისი წარმომადგენელი — შემდეგ დავინახავთ.

ჟენევა.

დ. თოფურბიძე.

„კვალის“ ფოსტა

ბ. კ. გო. ძმს. თქვენ წერილს ვართავავას „პოლემიკის შესახებ“ არ ვსტამბავთ, რადგანაც ნათქვამია: ჩიტი ბღღნათ არ ღირდა და დევნა კი მეტი იყოფო. რასაც „ივერიაში“ თავის გულის მოსაფხანათ ჩვენ წინააღმდეგ წერენ, ყველას რომ გამოვუდგეთ—„კვალი“ ამ ვაჟბატონთ მოუდება და იმათაც ეს უნდათ.

„პრემის“ გაგრძელება უადგილობის გამო გადაიდვა შემდეგი ნომრისთვის.

„კვალის“ რედაქცია უმერჩილესათ თხოვს თავის ხელის-მომწერლებს, ვისაც ფული სრულათ არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა 1-ლ ივლისამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი მკესხებათ 1-ლ ივლისს.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ კლავტონაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ.	(გასაგზ. 50 კ.)
აღბომი „ბუნება სურათებში“	უდ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
ზატარა ღორდი	30 კ.
ჩუენი ძველი გმირები	30 კ.
თეთრი და ზანგი	15 კ.
სოფომონ მეფე	10 კ.
ორი მთხრობა ეგ. ნინოშვილისა	10 კ.

ჩვენი კვალი გვიჩვენებს

თხზულება გ. წერეთლისა.

ფასი 30 კაპ.

იყიდება „კვალი“-ს რედაქციაში (არტილერების ქუჩა № 5) და წერა-კით. საზ. წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მიტროფანე ლალიძესთან.

საემაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

რედაქციაში იყიდება ძალიან დაკლებულ ფასათ ვეკა წლებისა (1890—1899 წ.წ.)

თფილისის

ქალაქის გამგეობა

საუოველთაოთ აცხადებს, რომ იგი მიიღებს შეწირულებას სოფელ მარტყოფის (თფილისის მახრას) მაცხოვრის ხელთუქმნელის სახელობის ტაძრის განსახლებლათ.

(3—3)

ამ წლის 20 აპრილს გაიხსნა

ქ ა ლ ა ქ ი ს

საჯარო ვაჭრობის დარბაზი

სოლოლაქისა და რტიშვილის ქუჩების კუთხეში, თ. ბებუთოვის სახლში.

ამ დარბაზში მოხდება ხოლმე ვაჭრობა ყოველ გვარ მოძრავთა ქონებათა, თანახმათ სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა, საკრედიტო დაწესებულებათა, დამგირავებელ კასსათა და კერძო პირთა თხოვნისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ხოლმე შენობის დარბაზში, მაგრამ ესევე ვაჭრობა შეიძლება მოხდეს ნიეთების მეპატრონეთა სახლში, დუქნებში და მაღაზიებში.

დაწვრილებითი პირობები საქონლის გასაყიდათ დანიშნვისა, მისი შენახვისა და საზოგადოთ ყოველივე პირობა „საჯარო ვაჭრობის დარბაზისა“ მსურველს შეუძლია შეიტყოს შემოხსენებულ დარბაზში.

(4—5)

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირასში ერთხელ ერთიდან სამ თაბასამდე

იმავე პროგრამით როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალა წლიდან „კვალს“ მიემატება ზროგამის ეგვლა განუყოფილები, რისთვისაც შედგა მუდმივ თანამშრომელთა წრე.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მან. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნომერი სამ მანეთათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების განცუვარაში“ (Дворцовая ул. ბ. ვ. მ. ბანკა № 101 და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერების ქუჩა, № 5, კორნუხის სახლ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

ОТЪ КОНТОРЫ ГАЗЕТЫ

„НОВОЕ ОБЗОРЪНІЕ.“

Издание газеты „Новое Обзоръніе“ будетъ возобновлено

съ 18 августа настоящаго года.

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшихся за конторой денегъ, будутъ получать газету безъ доплаты съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 коп.

Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Обзор.“, причеиъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

ДЛЯ ПРИЕМА ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЙ контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ—отъ 6 до 7 час. вечера.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.